ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმისა და 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესის კოორდინაციის სამუშაო ჯგუფის სხდომის

ოქმი N1

5 ივნისი 2024 წელი

სამუშაო ჯგუფის სხდომა მოწვეულ იქნა „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმისა და 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის ფორმირების მიზნით განსახოეციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 28 თებერვლის №42.42240599 ბრძანების საფუძველზე.

სხდომა ჩატარდა მერიის ადმინისტრაციულ შენობაში, მისამართი: ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებელის 12.

სხდომას ესწრებოდნენ: ჯგუფის თავმჯდომარე - მერი ბექა ვაჭარაძე, ჯგუფის თანათავმჯდომარე - დავით კვიციანი, მერის მოადგილე მამუკა პაპასკირი, მერის მოადგილე ლექსო თოდუა, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის მოსამზადებელი სამუშაო ჯგუფის წევრები.

დღის წესრიგი:

1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.
2. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის გამოკითხვის შედეგები 2023 წელს განხორციელებული პროექტების შესახებ.
3. ონლაინ მიღებული საპროექტო იდეების შესახებ.

მომხსენებელი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის უფროსი ვასილ თოდუა.

მომხსენებელმა სამუშაო ჯგუფს გააცნო 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მოსამზადებელი საბიუჯეტო კალენდრით გათვალისწინებული ღონისძიებები და აღნიშნა, რომ ამ დოკუმენტის სრულყოფილი შედგენა თვითმმართველობის უპირველესი მოვალეობაა და ის, ძირითადად მოსახლეობიდან მიღებული წინადადებების საფუძველზე უნდა მოხდეს. ამ მიზნით, საკრებულოს წევრები და მერის წარმომადგენლები სისტემატურად ხვდებიან ქალაქის მოსახლეობას.

მომხსენებელი: მერის წარმომადგენელი ცენტრის უბანში ნათია გუჯაბიძე.

მომხსენებელმა ისაუბრა მოსახლეობის კვლევის შედეგების შესახებ და დაასახელა ყველაზე პრობლემური საკითხები. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მოსახლეობა საკმაოდ კარგად არის მუნიციპალური პროგრამების შესახებ ინფორმირებული და აქტიურად იყენებენ. ძირითადად, გამოიკვეთა ინფრასტრუქტურული და ჯანდაცვის კუთხით მწვავე საკითხები, რაც კვლევის შედეგებში ასახულია /კვლევის შედეგი თან ერთვის/.

მომხსენებელი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ბექა მორჩილაძე.

მომხსენებელმა ისაუბრა მოსახლეობის მიერ გაჟღერებული პრობლემებისა და იდეების შესახებ.

მომხსენებელი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი გვანცა გვაძაბია.

მომხსენებელმა წარადგინა ონლაინ შემოსული პროექტები. მოსახლეობას საშუალება აქვს წინადადებები თვითმმართველობას მიაწოდოს ონლაინ რეჟიმში. სამუშაო ჯგუფმა უზრუნველყო მოსახლეობასთან შეხვედრისა და კვლევის მასალების ბაზის შექმნა, რაც საშუალებას გვაძლევს ვფლობდეთ ინფორმაციას მოსახლეობის შეხედულებებზე გასულ წელს განხორციელებულ პროგრამებთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მერის პირველმა მოადგილემ დავით კვიციანმა, მერის მოადგილემ ლექსო თოდუამ, მერის მოადგილემ მამუკა პაპასკირმა, რომლებმაც აღნიშნეს, რომ მნიშვნელოვანია მოსახლეობის დამოკიდებულებებისა და მოსაზრებების კვლევა და ეს შედეგები აუცილებლად გონივრულად და შესაძლებლობის ფარგლებში ასახული იქნება ბიუჯეტში, რომ მეტად მორგებული და მოქნილი მუნიციპალური პროგრამები შეიქმნას.

ჯგუფის წევრების აზრით, ჯგუფური შეხვედრების მიზანი ქალაქის მოსახლეობის ინფორმირების, დამოკიდებულებებისა და მოლოდინების ხარისხის გაუმჯობესებაა, რაც უზრუნველყოფს იმ პრიორიტეტული სფეროების გამოკვეთას, რომლებზედაც ადგილობრივმა თვითმმართველობამ მომავალში უნდა გააუმჯობესოს მომსახურების მიწოდება.

თათბირი შეაჯამა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ლექსო თოდუამ. მერის მოადგილის შენიშვნებისა და შეფასების საფუძველზე, სამუშაო ჯგუფის წევრებზე გაიცა დავალებები. კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მოსახლეობის ჩართულობის დადებით მხარეებს და წრმატებები უსურვა ჯგუფის წევრებს საქმიანობაში.

დაადგინეს:

1. 2024 წლის 25 ივნისამდე საბიუჯეტო ორგანიზაციებმა, საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურთან და დარგის კურატორებთან შეთანხმებით, მოამზადონ და წარუდგინონ საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურს პროგრამის/ქვეპროგრამის შესახებ ინფორმაცია, ბრძანების მე-3, მე-4 და მე-6 დანართების შაბლონის შესაბამისად და 25 ივლისამდე 2025-2028 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შესახებ ინფორმაცია, ბრძანების მე-8, მე-9, მე-10 და მე-11 დანართების შაბლონის შესაბამისად.

2. სამუშაო ჯგუფის მომდევნო შეკრება დაიგეგმოს 2024 წლის 15 აგვისტოს. საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურმა საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან 15 ივლისს მიღებული ძირითადი პარამეტრების გათვალისწინებით, წარმოადგინოს სამუშაო ჯგუფთან ერთად მომზადებული პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტი.

სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი ბექა ვაჭარაძე

სამუშაო ჯგუფის წევრები: